ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 222. ხუთშაბათი, 27 მაისი 1904 წ. გაზეთის № 2506.

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

# ლუკას კაკარდა

— მართალია?

— რას გვიბრძანებთ, ამბობენ თვითონ თავისი ხელით გაიკეთაო!

— დედამ დაიკვეხოს მაგისთანა შვილი!

— მე სულ იმას ვამბობდი,რო...

— არა, მე შარშანვე ვსთქვი.

ასეთი მითქმა-მოთქმა და აურ-ზაური გამოიწვია პაწია ქალაქის პაწია უბანში ლუკამ. მიზეზი ამისა თვით ლუკავე იყო. იმას დღეს ქუდზე კაკარდა გაეკეთებინა როგორც მომრიგებელ სასამართლოს უწყების დამტარებელს. ლუკას კანონით ამისი ნება არა ჰქონდა, მაგრამ ის, არამც თუ კანონით, მოვალეთაც კი სთვლიდა თავის თავს, რომ უეჭველად კაკარდა ეტარებინა, როგორც ხელმწიფის სამსახურის კაცს.



† პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი

ათის წლის „სტოროჟობის“ შემდეგ ის დღეს „გაამწესეს“ უწყებების დამტარებლად.

სალამომდე მთელმა ქალაქმა, რომელიც სამის უბნისაგან შესდგებოდა, უკვე იცოდა ეს ამბავი, მეორე დღეს გაიგეს მოსამსახურე ეცილებოდა ამ „თანამდებობაზე.“

ყველაზე მეტს სიხარულში იყო ლუკას დედა. შედგა თუ არა ლუკამ კარებში ფეხი, „ჩესტი“ გააკეთა; თუმცა თვითონაც არ იცოდა რათ, მაგრამ რაღაცნაირათ გრძნობდა, რომ კაკარდა და „ჩესტი“ ერთათ კარგი იქნებოდა.

— ვენაცვალე ჩემს ჩესტიან შვილს!— მიესალმა კეკელა, მაგრამ ახლო მისვლისა კი როგორღაც მოეკრძალა.

ლუკამ დინჯათ გადადგა ფეხი პაწია ტახტისაკენ, დინჯათ ჩაიკეცა და დოინჯშემოყრილი ჩამოჯდა ტახტზე.

— დედი!—წარმოსთქვა მედიდურად და თვალები ზევით ასწია.

— ვხედავ, ვხედავ: გენაცვალოს კაკარდაში კეკელა.

და თან ცოტა არ იყოს შეკრთა, შეეშინდა, ხომ არ იწყენს ხელმწიფის მოსამსახურე კაცი ჩემს სიტყვებსაო.

— დედიი!—წარმოსთქვა კიდევ ლუკამ, დინჯათ მოიხადა ქუდი, დაისვენა ტახტზე და შუბლზე ხელი გადაისვა.

კეკელას მუხლები აუკანკალდა, როცა დააკვირდა ლუკას გამოცვლილს სახეს.



მთებში.—სურათი სტუარტისა.

მახლობელ სოფელშიაც და მესამე დღეს ხო თვით ბოქაულმაც

— დედი! გაიმეორა კიდევ ლუკამ, და მიაშვირა კაკარ-



რუსეთის ჯავშნიან გემის „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვა.

კეკელა მიუხვდა.

— ჩინოვნიკის სამსახურში ვარ!

კეკელა უფრო დარწმუნდა, რომ „ჩინოვნიკს“ პატივისცემა უნდოდა და გამოსწია შკაფის კარები, გამოიღო ოთხკუთხიანი, ლურჯი, დაკერებული სუფრა, გაშალა ტახტზე, დააწყო ზედ ყველის რამდენიმე ნაჭერი, მწვანილი, პური და თვით დადგა განზე. ლუკამ ჯიბიდან არაყის ბოთლი ამოიღო, გადაუსვა ერთი, მეორე და შეექცა სადილს.

კეკელას თვითონაც ძაან ეწყინებოდა, რომ იმის შვილს, ხელმწიფის მოსამსახურე კაცს, მიეწვია იგი სუფრაზე.

— დედი!—წარმოსთქვა ლუკამ უკანასკნელ ჰიქასთან:— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ის... რომელი... მე კაკარდა... და მიეშვა იქავე მუთაქაზე.

კეკელა ფეხის თითებზე მიუახლოვდა სუფრას, აალაგა ფრთხილად და გაჩერდა კაკარდიანი ქუდის წინ. მან თითქმის ნახევარი საათი შინჯა კაკარდის რაღაც ნახატი, შეადარა ხან ობობას ფეხებს, ხან თავის გარდაცვალებულ ქმრის მიერ მოტანილ ქამა სოკოს, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, რა ეხატა ზედ. რამდენჯერმე დააცქერდა ლუკას თავზე, ფეხებზედაც, მაგრამ ცვლილება შენიშნა მხოლოდ ქუდზე, სხვა ყველაფერი ისევ ლუკასი იყო.

შებინდდა. ლუკა ისევ ხვრინავდა. კეკელა ხან მეზობლებში შეირბენდა ხოლმე, ხან ლუკას ქუდს სდარაჯობდა. ბოლოს იშოვა სადღაც კაპეიკიანი სანთელი, აანთო და მიაკრა კედელზე, აბლაბუდა გადაკრულ რაღაც სურათის წინ, რომელსაც ლუკა წმიდა ნიკოლოზის ხატს ეძახოდა.

პირველად დიდის მოწიწებით შეავედრა ხატს ლუკას კაკარდა, შემდეგ ლუკას ბედნიერება და ბოლოს ინატრა, რომ ერთი ლუკას მამას ივანეს გამოეხედნა საფლავიდან და დაენახა ლუკას „ჩინოვნიკობა“.

გათენდა ვიდრე ლუკა გარედ გამოვიდოდა. უბნის ქალები უკვე შეგროვილიყვნენ ეზოში. ლუკამ თავი უკან გადაიწია, მუცელი გაიბერა და სალდათის ნაბიჯით გაუარა მათ წინ.

— აკი გითხარ!—წარმოსთქვა ნიშნის მოგებით ბაყალ პაპუას ცოლმა, რომელსაც გვერდით ედგა თავისი გასათხოვარი ქალი.

— მე ეგ წინათვე ვიცოდი!—მიუგო იმავე კილოთი მეწვრილმანეს იოვანეს მეუღლემ, და გადახედა თავისავე გასათხოვარ ქალს თვალების ტრიალით.

კეკელა კი ამ დროს იდგა კარების დირეზე, უყურებდა იმათ მედიდურად, თითქოს ეუბნებაო: „დაგიდგათ თვალი, რატო გუშინ ზედადგარი არ მათხოვეთო!“

ი. ეგდოშვილი.

# შეხვედრა

მოთხრობა მარლინოვისა.

ყველას, ვინც-კი 19... წელს ნიცაში იყო, ეხსომება რომ bataille dc fleurs*) ორჯელ გაიმართადა ორჯელვე ბრწყინვალედ ჩაიარა. ვინც ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა შეამჩნევდა ერთ ქლექით ავადმყოფ ახალგაზდას, რომელიც მარტოდ-მარტო ეტლით დასეირნობდა. ღრმა შთაბექდილებას ახდენდა ადამიანზე საბრალო ახალგაზდა. გეგონებოდათ, მთელი თავისი ძალ-ღონე მოუკრებია, რომ ყველას ერთად უკანასკნელად გამოსთხოვებოდა: ლაჟვარდ ცას, მზეს, ყვავილებს და ხალხს. იმისი დაღონებული და მოწყენილი ღიმილი თითქო რაღაც ბრალსა სდებდა ამ გულ-ქვა და მხიარულად მოსეირნე ხალხს. დასუსტებულ და უღონო ხელებით ყვავილებს ისროდა აქეთ-იქით, მაგრამ ვერც ერთი ყვავილი დანიშნულ ადგილს ვერ აღწევდა, შეუმჩნევლად ვარდებადა მიწაზე და ცხენები ფეხებით სთელავდნენ. ხალხი კი, ვისთვისაც ეს ყვავილები იყო დანიშნული, ვერ ამჩნევდა საბრალო ავადმყოფს და ყველა თავის ყვავილებს ესროდა სხვებს-უფრო ჯანსაღებს, მხიარულებს და ბედნიერებს.

ტრიბუნის პირველ წყებაში იჯდა ლამაზი, ჯანსაღი, მდიდარი და ახალგაზდა ქალი; მიუხედავად იმისა, რომ ყვავილთა გროვა, მსხვერპლად მოტანილი აქ ხალხის გასართობად,



რუსის ჯარის სამგზავრო სამზარეულო.

სურნელებით ავსებდა ჰაერს და თვით მზეც თითქო ხალხთან ერთად ხარობდა, ახალგაზდა ქალის თვალებს მოწყენილობა ეტყობოდა. ქალი იმათგანი იყო, რომელთაც ცხოვრებით სარ-

*) ყვავილებით ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაპონიის ჯარის გაცილება.

გებლობა არ იციან და ცხოვრებისაგან ელიან იმას, რის მოცემაც ცხოვრებას არ შეუძლიან. აი, ამიტომ ამ ხალხში, ნათესავთა და ნაცნობთა შორის, იგი თავის თავს მიტოვებულად ჰგრძნობდა.

ეტლი ტრიბუნას დაუპირდაპირდა; ქალმა ავადმყოფი შეამჩნია, გულში კარგმა გრძნობამ გაურბინა ავადმყოფის მიმართ და ძალაუნებურად თავისი ზნეობრივი მდგომარეობა შეუდარა ამ ავადმყოფის სენს. ქალი არავის ესროდა ყვავილებს, მაგრამ ავადმყოფს-კი გადაუგდო ის ყვავილები, რომელიც გულზე ჰქონდა მიბნეული. ყვავილები მუხლებზე დაეცა; ავადმყოფმა აიხედა და შეამჩნია, რომ ქალი თანაგრძნობით უყურებდა. გაცივებულ გულში სითბო იგრძნო, სუსტად გაიღიმა და ქალს ესროლა იის დიდი თაიგული. სისუსტის გამო თაიგული ღონივრად ვერ გაისროლა და გზაზე დაეცა. კიდევ ესროლა, მაგრამ ვერც ამან მიახწია. უმწეოდ შეჰხედა ქალს და იმის თაიგულს მაგრა ხელი მოუჭირა.

კვირა დღეს ქალი ეკკლესიაში შევიდა; დაინახა მუხლმოდრეკილი ავადმყოფი, რომელიც ღმერთს ევედრებოდა და ამავე დროს თვალებში იმედი უბრწყინავდა. მთელის თავისის არსებით მისცემოდა ლოცვას. ქალს მოაგონდა, რომ ოდესღაც ისიც რწმენით ლოცულობდა, ეხლა კი დაუდგა ეჭვისა და ურწმუნოების დრო; იგი სიამოვნებით დაუბრუნდებოდა წინანდელ დროს და ამიტომ ავადმყოფის დანახვამ დროებით ისევ შესძინა რწმენა, და იმანაც დაიწყო ლოცვა. მოაგონდა მაცხოვრის სიტყვები: „ითხოვეთ და მოგეცემათო“, და შეავედრა თავისი თავი კი არა—ავადმყოფი. ლოცვაში სთხოვდა მაცხოვარს შეუძლებელს—ავადმყოფის განკურნვას.

ეკკლესიიდან ერთად გამოვიდნენ და კიბეზედ ერთმანეთს შეჰხედეს. ავადმყოფმა ქალი იცნო და ერთი ორად უფრო გაუცხოვლდა სიცოცხლის სურვილი, გულშიც იმედი გაეღვიძა, რომ იცოცხლებს.

ორშაფათ დღეს წვიმდა და ქარი ჰქროდა. ავადმყოფი ცუდად გახდა და თავის თავს ეკითხებოდა, ნუ თუ ლოცვა და ვედრება უნაყოფოდ დარჩა და სიცოცხლეს უნდა გამოვეთხოვოო!..

გონება ეკარგებოდა, აზრები ერეოდა. მზე, წარსულ ცხოვრების სურათები, მოწყენილი სახე უცნობ ქალისა, ზღვა, ყვავილები—ყოველივე ერთმანეთში აირია, და ტუჩები კი შეუპოვრად იმეორებდნენ: „შეუძლებელია, ჩემი ლოცვა შეუსმენელი არ დარჩებოდაო.“

ოთხშაფათს, როცა ქალმა ეკკლესიასთან გაიარა, კარი ღია დახვდა და შესვლაც გაიფიქრა. ჯერ კიბე არ გაევლო, რომ პანაშვიდის გალობა მოესმა. ეკკლესიაში აქა-იქ სანთლები ბჟუტავდა. შუა ადგილას იდგა ყვავილებით შემკული კუბო, რომელშიაც უცნობი ავადმყოფი ესვენა.

„რა საჭიროა ლოცვა, როცა არავინ ისმენს? ან რისთვის დაიბადა, თუ კი ასე მალე გამოეთხოვებოდა წუთი-სოფელს?“ გაიფიქრა გულჩათუთქულმა ქალმა, გადაიწერა პირჯვარი და გამოვიდა ეკკლესიიდან, რომ განეგრძო უმიზნო და უსიამოვნო ცხოვრება.

ქ.

# ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი

აღდგომას ხევსურები „აღვსებას“ ეძახიან. აღვსება ხევსურებისათვის ბევრს ვერაფერს წარმოადგენს. იგი მოკლებულია იმ დიდ ამბებს და დროს-ტარებას, რომელიც თან ახლავს ხევსურეთში ახალწელიწადს. ეს ადვილადაც აიხსნება: ახალი-წელიწადი მოდის იმ დროს, როცა ქუსაქმობა ხევსურს სულს უხუთავს, როცა ჭირნახული შენახული აქვს და ამიტომ თამამად ეძლევა ხანგრძლივ დროს ტარებას. აღვსება კი იმ დროს მოდის, როცა ხევსურეთში გაჩაღებული ხვნა-თესვაა. მაშინ საქეიფოდ, დროს სატარებლად არა სცალიან. ბევრი რომ ვსთქვათ, დღე-ნახევარს სწირავს საქეიფოდ ხევსური ამ უქმეს, მაშინ როცა ახალ-წელს ხევსურები თითქმის ერთ კვირას ქეიფობენ. მაგრამ ხევსურები მაინც მოუთმენლად მოელიან აღვსებას და საყურადღებო ადათებიც კი აქვთ ამ უქმის წინ, ე. ი. ყველიერსა და დიდ მარხვაში. ამიტომ უადგილო არ იქნება, რომ შევჩერდეთ და მოვიხსენოთ, თუ რას წარმოადგენს მათი ყველიერი, პურნილაობა, მგელთ-უქმობა, სულთა-კრეფა, კუდიან-მწუხრა და თვით აღვსება.

როგორც საზოგადოდ ყველგან, ყველიერი ხევსურეთშიაც ერთს კვირას გასტანს ხოლმე. ამ კვირია ხევსური თავის ჭერ-ქვეშ ქეიფობს: არ მიდის არც ხატში, არც სხვა სოფელში ნაცნობ-მოკეთესთან. სირცხვილია, თუ ვინმე ამ ჩვეულებას დაარღვევს. იტყვიან: „ალბად მაგას არაფერ არ ებადებოდა, რო სხვაგან გადაითხიაო.“ 1)



იაპონიის დაღუპული ჯავშნიანი გემი „ხაცუზე“.

ერთი და იმავე სოფლელები კი ერთად ატარებენ დროს. დღეს ერთ ოჯახში არიან დაპატიჟებულნი, ხვალ მეორესაში და ეგრე რიგ-რიგისად. ყველიერის საჭმელებს ხევსურეთში შეადგენს: ხინკალი, ყაურმა და მაჭკატი 2). სასმელებიდან: ლუდი და არაყი.—აი ხევსურის სუფ-

1) ე. ი. გადაიკარგაო.

2) იგივე „ბლინი“-ა—გათქვეფილ ფქვილის სითხეს შუშავენ ცხელ ტაფაზე და ამ მოშუშულ ცომს აწვობენ ერბოში და ისე გიახლებიან. ამას ეძახიან მაჭკატს.

რა ყველიერში. სუფრაზე ყველანი ერთად სხედან, მამაკაცები და დედაკაცები. ქეიფის დროს ჯერ სუფევს სიჩუმე და ხევსურული დარბაისლური თავდაჭერილობა, სანამ ძლიერ არ გახურდება ლუდ-არაყის ყანწის ტრიალი. მაშინ ხევსურულ სუფრას სხვა ხასიათი ეძლევა. დარიგებული ხევსურები „იურებიან ორ-ორ უდლად“, აბოლებენ თავიანთ „ჩიბუხ-ყალივნებს“ და ისეთაც ბოლიან და გამჭვარტლულ სამყოფს [3]) კომლში ახვევენ. სმის დროს თავისებურად ჩამოილოცებიან და ადღეგრძელებენ ერთმანეთს: „ღმერთმ გაცოცხლას, გადღეგრძელას; მანამდე გაცოცხლას, მანამდე ცას ნამ გასდის, მიწას მწვანილიო. მანამდე გადღეგრძელას, მანამდე ჭიანჭველა ქალაქჩი წავსა და იქით მარილის ქვას იყიდისა, ციხის წვერზე აიდებსა; მანამდის პერანგის ზიდნა შაგიძლიან, მანამდის გადღეგრძელოსაო; მერე კი მაგკლასაო და შვილების ხელთ დაგმარხასაო“,—ეუბნება სტუმარი მასპინძელს და სვამს ლუდით ან არყით სავსე ყანწს. როცა „შესვამს“ სასმელს, კიდევ ეუბნება: „ღმერთმ აგაშენას, აი დალვლიე, მე რა [4]) მაგკკელ, ღმერთმ ის შაგისრულას, სტუმარმ რაც მაგაკელო“. იწერს პირჯვარს და საჯაროდ ყვირის: „ხალხო, ვაჟო, დღეგრძელობა ამ კაცს, თქვენ მშვიდობა, მე ვერა ვსთქვი, ღმერთ ბრძანასაო. აი, ღმერთმაც გიშველასთ, ჯვარმაც [5]) გიშველასთაო, გაცოცხლასთ, აგაშენასთა, ბარაქა მაგცესთა, ბევრ ყველიერ მაგვარასთა, მშვიდობითა, კას [6]) გულითა რო იყოთ, ლხინითა, გამარჯვებითაო“. ამ სიტყვებზე დამსწრენი „შაუქცევენ“ და ეტყვიან: „გაცოცხლას ღმერთმა, ღმერთმ შენ თავ ნუ გამაგვართოსა“.

ამ გახურებულ სმა-ჭამა-ყაყანში როგორ წამოეპარებათ დილითგან სუფრაზე დამსხდარ ხევსურებს შუაღამე—ვერ იგებენ. შუაღამე გადადის და მთის შვილნიც თავ-თავიანთ ბინებში იმლებიან. დანარჩენ ყველიერის დღეებსაც ამ გვარად სმა-ჭამა-ყაყანში ატარებენ, სანამ დიდ-მარხვა თავს არ დაუკრავს.

სამაგიეროდ ხევსურები დიდ-მარხვის პირველ დღეს და უკანასკნელს, ე. ი. დიდ-შაბათს, მშივრები ატარებენ ვიდრე ვარსკვლავები არ ამოვა. გასათვალისწინებელი ლექსიც კი არის, რომ არავინ არ შესცდეს და წმინდად შეინახოს როგორც დიდ-მარხვის ორშაბათი, ისე დიდი-შაბათი, ანუ აღვსების შაბათი, როგორც ხევსურებმა იციან:

„აღვსებისა შაბათსაო,
„მკვდარნი ჩავლენ ტაბახსაო [7]);
„ვინაც წინ-წინ პური ჭამას,
„ვაი იმის ჯალაფთაო“.

ამნაირ მარხულობას ხევსურები „პურნილაობას“ ეძახიან, ვითომ პურის მეტი არა იჭმევა რაო. დანარჩენ დიდ-მარხვის დღეებს თითქმის არავინ არ მარხულობს, გარდა ძლიერ ხანში-შესულ ხევსურებისა.

დ. პაგლიაშვილი.

(დასასრული იქნება.)

[3]) სამყოფს ეძახიან ქვეითა სართულის ოთახს, სადაც უფრო ხშირად იმყოფებიან, ვიდრე ზევით სართულის ოთახში, რომელსაც ჭერხოს ეძახიან და სადაც უფრო ზაფხულობით არიან.

[4]) რაც.



მაისი ტფილისში.

[5]) ხევსურულმა სალოცავმა ხატმა.

[6]) კარგი.

[7]) ზოგი „ტრაბახსაო“, ამბობს.